

ქ. რუსთავში , საბაღე -საპარკო ხელოვნებისა და ლანდშაფტური არქიტექტურის ძეგლის , ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის კონცეფცია

2026

GAP GROUP

PRECISION. QUALITY. RELIABILITY

განმარტებითი ბარათი

GAP GROUP

განმარტებითი ბარათი

ზოგადი ცნობები

- პროექტის დასახელება: საბაღე-საპარკო ხელოვნებისა და ლანდშაფტური არქიტექტურის ძეგლის, ქ. რუსთავის ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია
- მდებარეობა: აღმოსავლეთ საქართველოში, ქ. რუსთავში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე.
- ტერიტორიის ფართობი: 51 ჰა.
- პროექტის მიზანი – სარეკრეაციო სივრცის – პარკის, უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის, საბაღე-საპარკო ხელოვნებისა და ლანდშაფტური არქიტექტურის ძეგლის რეაბილიტაცია საკადასტრო ნაკვეთებზე 02.06.01.084, 02.06.01.086, 02.06.01.085, 02.06.01.043 და 02.06.01.042, 02.05.07.856, 02.06.01.088 – ნაწილობრივ, და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ქ. რუსთავში. ეს უზრუნველყოფს დასვენებისა და ტურიზმისთვის სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნას, რომელიც ჰარმონიულად ჩაეწერება ბუნებრივ გარემოში.
- საკადასტრო კოდები: 02.06.01.084, 02.06.01.086, 02.06.01.085, 02.06.01.043 და 02.06.01.042, 02.05.07.856, 02.06.01.088 – ნაწილობრივ, და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორია

არსებული მდგომარეობის ანალიზი

- ქალაქთმშენებლობითი სიტუაცია: რუსთავის პარკი ქალაქის მწვანე კარკასის ბირთვია და მდებარეობს ძველი ქალაქის იმ ნაწილში, რომელიც ემიჯნება ძველი და ახალი ქალაქის დამაკავშირებელ ხიდს.
- რელიეფი და ჰიდროლოგია: რელიეფი მშვიდია მკვეთრი ვარდნების გარეშე. ნაკვეთზე მდებარეობს ტბორი, ასევე ის ემიჯნება მდინარეს. ტერიტორია არ ექვემდებარება დატბორვას.
- არსებული პრობლემები:
  - სკამების, საჩრდილობლებისა და წყლის ობიექტების, სხვადასხვა ასაკისთვის საინტერესო ზონების საკმარისი რაოდენობის არარსებობა
  - პარკის ინფრასტრუქტურისა და ღონისძიებრივი დატვირთვის საერთო მოძველება.
  - ტბორის განუვითარებელი ბიომრავალფეროვნება და გამწვანებაში მკვეთრი აქცენტების არარსებობა, ყვავილნარებისა და ბუჩქების მასივების ნაკლებობა.
  - ჭარბი ინსოლაცია, ცოტა ჩრდილი.
  - პარკის მოძველებული სივრცითი გადაწყვეტა
  - პარკის დასავლეთი სანაპიროს განუვითარებლობა
  - საპარკინგე ადგილების ნაკლებობა
  - კავშირის არარსებობა კუნძულთან, რომელიც შედის პარკის ტერიტორიაში

არქიტექტურულ -გეგმარებითი გადაწყვეტა (კონცეფცია)

- იდეა: პროექტი ფრთხილად ინარჩუნებს პარკის მემკვიდრეობას, ამატებს რა ახალ ფუნქციურ ზონებს და ავითარებს ღონისძიებებს ჩამოყალიბებული წესის საფუძველზე. ახალი ფუნქციების ზედდება და მეორეხარისხოვანი კავშირების დამატება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შეიცვალოს პარკის ქალაქთმშენებლობითი კარკასი.
- პარკის გეგმარებითი სტრუქტურის აგება პარკის ვიზიტორთა სხვადასხვა კატეგორიის სცენარული მარშრუტების საფუძველზე. ზონირების პრინციპები: ნაკადებისა და აქტივობების გამიჯვნა ვიზიტორთა სხვადასხვა ჯგუფს შორის კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად, დაკავშირებული ინფრასტრუქტურის შექმნა.

ფუნქციური ზონირება

1. მწვანე ზონები. იკავებენ ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს, მთავარი ამოცანაა ჩრდილისა და კომფორტული მიკროგარემოს ფორმირება. იგეგმება მცენარეთა ასორტიმენტის მრავალფეროვნების განვითარება, ასევე ტბორის ჩრდილოეთ ნაწილში ბიოპლატოს შექმნა დამბის მიმართულებით სანაპირო ზოლის გაზრდის ხარჯზე.
2. სპორტი ყველა ასაკობრივი კატეგორიისთვის. მოედნები გადანაწილებულია პარკის მთელ ტერიტორიაზე მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიის კომფორტისთვის. კლასიკური სპორტული მოედანი სკალოდრომით მთავარი შესასვლელის მახლობლად. სკეიტპარკი მოზარდებისთვის პარკის ცენტრალურ ნაწილში, სპორტული მოედნები. ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი და კარდიოტრენაჟორები უფროსი ასაკისთვის. სავარჯიშო მოედნები დასავლეთ სანაპიროზე ნიჩბოსნობის სკოლისთვის.
3. არტ-სივრცეები. საგამოფენო მოედანი მოქანდაკეთა სიმპოზიუმისთვის მდებარეობს პარკის სამხრეთ-აღმოსავლეთ შესასვლელთან. ვთავაზობთ ამფითეატრის რეკონსტრუქციას, რაც საშუალებას მოგვცემს ის ღონისძიებებით ავავსოთ. ახალი სივრცე კინეტიკური ქანდაკებებითა და საზაფხულო კინოთეატრით ასათვისებელი კუნძულის ტერიტორიაზე.
4. საბავშვო მოედნები. მდებარეობს პარკის ცენტრალურ ნაწილში. მოედანი ზონირებულია სამი ასაკობრივი კატეგორიის შესაბამისად: 0-3 წელი - არქეოლოგიური გათხრების თემატური ზონა საქვიშით; 3-7 წელი - მოედანი წყლის თამაშებით, საქანელებითა და სასრიალოებით; 7-12 წელი - ექსპერიმენტები წყალთან (არქიმედეს ხრახნი, ტუმბო, წყლის წისქვილი და ა.შ.) და კოშკები საძრომიალოებით.
5. ველობილიკი, ტერენკური. გულისხმობს მარშრუტს მთელი პარკის პერიმეტრზე.
6. პარკინგი. არსებული ავტოსადგომის გაფართოება და გადატანა ცენტრალური შესასვლელიდან ჩრდილო-დასავლეთით, მდ. მტკვრის მიმართულებით (51 მანქანის ადგილი, მათ შორის 6 შშმ პირების ჯგუფებისთვის, 2 ადგილი ელექტრო-ტრანსპორტისთვის). მასწავლებლებისა და სტუმრების პარკინგის მოწყობა ნიჩბოსნობის სკოლასთან (7 მანქანის ადგილი, მათ შორის 2 შშმ პირების ჯგუფებისთვის)
7. დასვენების ზონები. თანაბრად არის გადანაწილებული მთელ ტერიტორიაზე საჩრდილობლებსა და ხედების გაშლაზე აქცენტით. შემოთავაზებულია ხის ფიცარნაგზე პლაჟის მოწყობა, როგორც მშვიდი დასვენების დამატებითი სცენარი.
8. პარკის ცენტრალური მოედანი. მოედანი მასობრივი ღონისძიებების ჩასატარებლად. სცენა, ფარდული. მოედნის დიამეტრია 50 მ. ასევე ტერიტორიაზე გამოყოფილია 2 ზონა კაფესთვის და 3 ზონა ფუდტრაკის ფორმატისთვის
9. რუსთავის ციხე. რუსთავის ცენტრალურ პარკს მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. შემოთავაზებულია კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ჩატარება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად და შეესაბამება სატენდერო მოთხოვნებს. სამუშაოები მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს: არქეოლოგიას, ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევას და ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვას, რათა გათვალისწინებულ იქნას მოსახლეობის სურვილები და დამოკიდებულება სხვადასხვა შენობის, ნაგებობისა და ლოკაციის მიმართ, რომლებიც მდებარეობს პარკში და მის გარშემო, ასევე საპროექტო ტერიტორიაზე შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

განმარტებითი ბარათი

არქიტექტურულ ჯგუფთან ერთად ჩატარდება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მიწისზედა ნაგებობების დათვალიერება, აღწერა და შეფასება. შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ობიექტების კონსერვაციის ან რეაბილიტაციის საკითხები. თუ კვლევითი სამუშაოების მსვლელობისას დაფიქსირდება ობიექტის რაიმე სახის დაზიანება/ნგრევა ან ადრე ჩატარებული უხარისხო თუ შეუსაბამო ჩარევები, არსებული სიტუაცია დაფიქსირდება ჩანაწერებსა და ფოტოებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პარკის ტერიტორიაზე მდებარე ეროვნული კატეგორიის ისტორიულ ციხესიმაგრეს — რუსთავის ციხეს, რომელიც ემთხვევა პარკის სამხრეთ საზღვრებს. ციხის ტერიტორია შემოსაზღვრულია ისტორიული გალავნით (კედლით), ხოლო იმ ადგილებში, სადაც გალავანი აღარ არის — თანამედროვე ღობით. რუსთავის პარკის რეაბილიტაციის პროექტი არ ითვალისწინებს სამუშაოების ჩატარებას ციხის ტერიტორიის შიგნით არსებულ არქეოლოგიურ ზონაში, ვინაიდან იქ მუდმივ არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს რუსთავის ისტორიული მუზეუმი, თუმცა ისტორიული ძეგლის 50-მეტრიანი ფიზიკური დაცვის ზონისა და 500-მეტრიანი ვიზუალური დაცვის ზონის უზრუნველსაყოფად შემუშავდება სპეციალური რეკომენდაციები, რომლებიც შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებს. კვლევის პროცესში დადგინდება საპროექტო ტერიტორიის საზღვრების მიმართება მის ფარგლებს გარეთ მდებარე ეროვნული და ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ფიზიკური და ვიზუალური დაცვის ზონებთან და დაფიქსირდება ამ ინფორმაციის სივრცითი მახასიათებლები.

საგზაო-ბილიკური ქსელის ორგანიზება

- მთავარი ტრანზიტები: ვინარჩუნებთ არსებულ ჩვეულ კავშირებს ჩამოსხმული ბეტონისგან. ვაფართოებთ და ვავსებთ მოსაპირკეთებელი ფილებისგან (ტროტუარის ფილებისგან) დამზადებული მეორეხარისხოვანი ბილიკების დამატების ხარჯზე. ამ მიდგომის წყალობით პარკი ნაკლებად რეგულარული ხდება და იძენს უფრო განვითარებულ საფეხმავლო კარკასს.
- ტბაზე გამავალი საფეხმავლო ხიდი კრავს წრიულ მარშრუტს, შესრულებულია საჩრდილობლებისა და პეიზაჟური წერტილების მოწყობით.
- საფეხმავლო ხიდი, რომელიც კულტურის სახლს პარკთან აკავშირებს.
- საფეხმავლო ხიდი, რომელიც არსებულ კუნძულს პარკთან აკავშირებს.
- რეკონსტრუირებულია საფეხმავლო ხიდი, რომელიც აკავშირებს სამხრეთ-აღმოსავლეთ შესასვლელს პარკთან.
- მყარი საფარი: ჩამოსხმული ბეტონი, ტერავეი (terraway), ტროტუარის ფილა, რიყის ქვა.
- სისტემური მიდგომა განათებისადმი. გამოყოფილია ფუნქციური, აქცენტური და დამატებითი განათება. მთელი განათება თბილია. მთავარი სასეირნო მარშრუტები და აქტიური ზონები ნათდება უფრო ფართო სხივით, დასვენების ზონები და წყნარი ზონები — უფრო ვიწროთი.
- მარშრუტი კუნძულზე: ხის დეკინგი (ფიცარნაგი) ხიმინჯებზე.
- მეორეხარისხოვანი კავშირები: ბილიკების „კაპილარული ქსელი“ პარკის შიგნით ტროტუარის ფილის საფარით, ასევე გამოიყენება ტერავეი და წვრილი მდინარის რიყის ქვა.
- რუსთავის ციხეზე ხედის მქონე სათვალთვალო კოშკისკენ მიმავალი გზა შესრულებულია ბიჯური ფილებით.
- ველომარშრუტი და შესაძლო სარბენი მარშრუტი.

გამწვანება და ლანდშაფტური გადაწყვეტილებები

კლიმატური მიდგომა: გვალვაგამძლე მცენარეების (ქსეროფიტების) შერჩევა ფერდობებისთვის და ტენისმოყვარული მცენარეების — წყალთან მდებარე ზონისთვის. ჩრდილის შექმნა — პრიორიტეტია ცხელი კლიმატისთვის.

მცენარეთა ასორტიმენტი:

- ზედა იარუსი (ჩრდილი): ვერცხლისფერი ნეკერჩხალი, თეთრი ვერხვი, ევროპული ზეთისხილი.
- წყალთან: თეთრი ტირიფი 'Chermesina' / 'Vitellina', ორრიგა ტაქსოდიუმი, შავი მურყანი 'Imperialis'.
- მსხვილი ბუჩქები ფერდობებისა და ნაპირებისთვის: ხისებრი ჰორტენზია 'Annabelle', დანაოჭებული ძახველი 'Mariesii', ვიწროფოთოლა ფშატი.
- ბუჩქების მასივები ფერდობების შესავსებად და გასამაგრებლად: ყლორტოვანი შინდანწლა 'Flaviramea', დანაკვთულფოთოლა სტეფანანდრა 'Crispa', მეწამული ტირიფი 'Nana'.
- სანაპირო მიქსბორდერის მრავალწლიანი მცენარეები: ტირიფფოთოლა ცუცკი, ჩინური მისკანტუსი, ჭაობის ზამბახი (ყვითელი), გულფოთოლა ბადანი, ბუზულნიკი (Ligularia), ჰოსტა 'Francee'.
- გაზონი: გათელვის მიმართ მდგრადი ნარევების გამოყენება, ალპური გაზონი.

საინჟინრო მომზადება და კეთილმოწყობა

- წყალსატევი: ტბის ქვაბულის სანიტარიული წმენდა, ნაპირების გამაგრება (გაბიონები/გეოგისოსი), აერაციის სისტემის მოწყობა (შადრევანი/ფსკერის აერაცია) წყლის აყვავების თავიდან ასაცილებლად. ბიოპლატოს ფორმირება.
- განათება: ორდონიანი. ფუნქციური (მაღალი ანძები) ტრანზიტებსა და სპორტულ მოედნებზე; ლანდშაფტური (ბოლარდები, ხეების მინათება) დასვენების ზონებში, აქცენტური გირლიანდების სახით და ატმოსფერული განსაკუთრებული ტერიტორიებისთვის.
- მაფ (მცირე არქიტექტურული ფორმები): ხისა და ლითონის ანტივანდალური კონსტრუქციების გამოყენება, რომლებიც ეწერება ბუნებრივ კონტექსტში, ინდივიდუალური გადაწყვეტილებების შემუშავება.

ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები (ტემ)

- ტერიტორიის ფართობი საპროექტო საზღვრებში: 51 ჰა
- წყლის სარკის ფართობი: 8,9 ჰა
- გამწვანების ფართობი: 34,4 ჰა
- სპორტული მოედნების ფართობი: 8373 მ²
- საბავშვო მოედნების ფართობი: 3780 მ²
- დასვენების ზონების ფართობი: 13259 მ²
- ასფალტის საფარი: 20792 მ²
- ბილიკების ქსელი: 44018 მ²

მიზნები:

- პარკში თანამედროვესა და ისტორიულის ჰარმონიული დაკავშირება, ყველა ასაკის ინტერესების გათვალისწინება.
- პარკის გაჯერება მრავალსეზონური ღონისძიებებით და სივრცის „გააქტიურება“.
- ეკოლოგიური დღის წესრიგის ფრთხილად ჩაწერა პარკის იდენტობაში.

ქალაქგეგმარებითი ანალიზი

GAP GROUP

სიტუაციური სქემა

პროექტის ტერიტორია მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ქალაქ რუსთავში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე.

პარკი ესაზღვრება მდინარეს და ძველი ქალაქის ცენტრალურ ნაწილს.





51 ჰა
საპროექტო ნაკვეთის ფართობი

9 ჰა
სარკისებრი ფართობი

1,6 ჰა
წყლის
არსებული შენობების ფართობი

- განვითარების ზონა
- ძირითადი სატრანსპორტო კავშირები
- სარკინიგზო მიმოსვლა
- წყლის სარკე
- ავტოსადგური
- რკინიგზის სადგური

GAP GROUP

სამშენებლო კონტექსტი

ქალაქის მასშტაბი

რუსთავის პარკიდან ფეხით სავალ მანძილზე მდებარეობს კულტურული ობიექტები (რუსთავის თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი), ტერიტორიაზე განთავსებულია რუსთავის ციხე და იმართება მოქანდაკეთა რუსთავის საერთაშორისო სიმპოზიუმი.

პარკი ქალაქის სპორტული აქტივობის ეპიცენტრში მდებარეობს. ტერიტორიის მახლობლად მოწყობილია პადელ-ჩოგბურთის კორტები და საფეხბურთო სტადიონი, ხოლო ტბაზე ნიჩბოსანთა ნაკრების ვარჯიშები ტარდება.

ფეხით სავალ მანძილზეა სკოლები და საბავშვო ბაღები.

ცენტრალური პარკი სკანდინავიური სიარულისა და პენსიონერთა დილის ტანვარჯიშის მთავარი ადგილია.



- განვითარების ზონა
- მუზეუმები და თეატრები
- სკოლები
- საბავშვო ბაღები
- სავაჭრო ცენტრები
- საავადმყოფოები
- სპორტული ობიექტები

GAP GROUP

ქალაქის მწვანე ფილტვები
ქალაქის მასშტაბი

მწვანე კარკასი შემდეგი ელემენტებისგან შედგება:

- **მთავარი ბირთვი** — რუსთავის ცენტრალური პარკი (კულტურისა და დასვენების პარკი)
- **საკვანძო ეკოლოგიური დერეფანი** — ქალის ტყე მდინარე მტკვრის გასწვრივ
- **კავშირები** ძველ და ახალ რუსთავს შორის — საფეხმავლო და ველომარშრუტები, გამწვანება მაგისტრალების გასწვრივ
- **დამცავი ზოლები** სამრეწველო ზონის გარშემო — ტყის ნარგავები, რომლებიც ჰაერის გასაფილტრადაა განკუთვნილი.

- განვითარების ზონა
- მწვანე კავშირები
- საკვანძო ეკოლოგიური დერეფანი
- მწვანე ბირთვი
- წყლის სარკე

GAP GROUP

ქალაქგეგმარებითი კონტექსტი
რაიონის მასშტაბი

რუსთავის პარკი გარშემორტყმულია განვითარებული სპორტული ინფრასტრუქტურით. ახალი მასტერპლანის ამოცანაა ტერიტორიაზე სპორტის განვითარება, კულტურულ ობიექტებთან (მაგალითად, კულტურის სახლთან) კავშირების ორგანიზება და კულტურული აქტივობების დაგეგმარება.



- განვითარების ზონა
- სპორტული ობიექტები
- სკოლები
- მუზეუმები და თეატრები
- საავადმყოფოები
- კაფეები

საფეხმავლო და სატრანსპორტო ნაკადები

პარკს აქვს 2 შესასვლელი: მთავარი ჩრდილოეთით და კიდევ ერთი სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. პარკი ემიჯნება ხიდს — არტერიას, რომელიც ძველ და ახალ ქალაქს აკავშირებს. პარკთან გადის ავტობუსის მარშრუტი.



- განვითარების ზონა
- მთავარი საფეხმავლო ნაკადები
- სატრანსპორტო ნაკადები
- ავტოსადგომები / პარკინგი
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება
- ავტობუსების სადგომი

ბუნებრივი კარკასი

რელიეფი მშვიდია, მკვეთრი ცვლილებების გარეშე.



კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები

V–XIII საუკუნეების რუსთავის ციხე ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტია. ძეგლი მდებარეობს ცენტრალური პარკის საზღვრებში და აყალიბებს 50-მეტრიან ზონას სამშენებლო საქმიანობაზე დაწესებული შეზღუდვებით. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის სტატუსი მოითხოვს ობიექტის ავთენტურობის შენარჩუნებას, თავდაცვითი კედლების ისტორიული ფენების ჩათვლით.



- განვითარების ზონა
- რუსთავის ციხე
- დაცვის ზონა 50 მ — ფიზიკური
- დაცვის ზონა 50 მ — ვიზუალური

შეზღუდვები

მდინარე მტკვრისა და მიმდებარე პარკის ტბის წყალდაცვითი ზონა სანაპირო ზოლიდან 50 მეტრს შეადგენს, რაც შეესაბამება 75 კმ-ზე მეტი სიგრძის მქონე წყლის ობიექტებისთვის დადგენილ ნორმატივებს. მარინის არხისთვის დგინდება ტექნოლოგიური გასხვისების ზოლი და სანიტარიული ზონა კალაპოტის კიდიდან 10–20 მეტრის სიგანით. აღნიშნული ტერიტორიები წარმოადგენს განსაკუთრებული სარგებლობის პირობების მქონე ზონებს, სადაც შეზღუდულია კაპიტალური მშენებლობა და დაწესებულია მკაცრი რეგლამენტი წყლის აუზის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.



- განვითარების ზონა
- წყლის ობიექტები
- წყალდაცვითი ზონა

კლიმატური პირობები

რუსთავის კლიმატს განაპირობებს ცხელი მშრალი ზაფხულის, რბილი ზამთრისა და აქტიური ქარის რეჟიმის ერთობლიობა. დაპროექტებისას საკვანძო ხდება გადახურებისგან დაცვა, დაჩრდილული და განიავებადი სივრცეების ფორმირება, ასევე ქარის ნაკადების, განსაკუთრებით კი ჩრდილო-დასავლეთის მიმართულების გათვალისწინება.







ტემპერატურული რეჟიმი
კლიმატი ხასიათდება გამოხატული სეზონურობით. ზამთრის პერიოდი რბილია, საშუალო ტემპერატურით −4…+8°C დიაპაზონში. ზაფხული ხანგრძლივი, ცხელი და მშრალია, 32°C-ზე მაღალი სტაბილური ტემპერატურით და 40°C-მდე და უფრო მაღალი ექსტრემალური მაჩვენებლებით. ზაფხულის პერიოდის მნიშვნელოვანი ნაწილი ურბანული გარემოს გადახურებას უკავშირდება. ყველაზე კომფორტული ტემპერატურული პირობები შეინიშნება მაისში, ივნისსა და სექტემბერში (16…28°C), რაც ღია სივრცეებში აქტივობის პიკებს აყალიბებს.

ქარის რეჟიმი
ქარის რეჟიმი ხასიათდება ჩრდილო-დასავლეთის ქარების სიჭარბით, რომლებიც ტერიტორიაზე ჰაერის ძირითად ნაკადს აყალიბებენ. დამატებით ფიქსირდება აღმოსავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებები. ყველაზე ინტენსიური ქარები დაკავშირებულია ჩრდილო-დასავლეთის სექტორთან (20–30 კმ/სთ-მდე), რაც სტაბილურ ქარის დერეფანს აყალიბებს და ღია სივრცეებში ყოფნის კომფორტზე ახდენს გავლენას.

ნალექები და ტენიანობა
კლიმატი ზომიერად გვალვიან ტიპს მიეკუთვნება. წლის განმავლობაში ჭარბობს მშრალი დღეები, განსაკუთრებით ზამთრისა და ზაფხულის თვეებში. ნალექების ძირითად ნაწილს სუსტი ინტენსივობა აქვს (2 მმ-მდე), ამასთან მაქსიმუმი მაისზე მოდის. ზაფხულის პერიოდში ტენის გამოხატული დეფიციტი შეინიშნება, რაც გავლენას ახდენს მცენარეულობის მდგომარეობაზე და გამწვანებისა და წყალშეკავების კარგად გააზრებულ სისტემას მოითხოვს.

GAP GROUP

ფოტოფიქსაცია

GAP GROUP

არსებული გამოყენების სცენარები

პარკის მიზიდულობის ძირითადი ცენტრები: რუსთავის ციხე, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი, სკეიტპარკი მოზარდებისთვის, საბავშვო მოედანი, ამფითეატრი, საკალათბურთო და საფრენბურთო მოედნები, ინოვაციების ინსტიტუტი და ნიჩბოსნობის სკოლა დასავლეთ სანაპიროზე.

გასეირნება წრიულ მარშრუტზე ატრაქტორებით (მიზიდულობის წერტილებით) ამფითეატრის, ციხისა და არტ-ობიექტების სახით

მოზარდები სკეიტპარკში და სპორტსმენები საფრენბურთო და საკალათბურთო მოედნებზე

საშუალო ასაკობრივი ჯგუფის ბავშვები (5-10 წელი) საბავშვო მოედანზე და ბავშვები ნიჩბოსნობის სკოლასა და ინოვაციების ცენტრში

GAP GROUP

ტერიტორიის ისტორიული დინამიკა

პარკის ჩამოყალიბებული გეგმარებითი კარკასი არ არის ისტორიული და სხვადასხვა წლებში იცვლებოდა. პარკის ფუნქციონირების ადრეულ ეტაპებზე ბილიკების ქსელი უფრო მდორე მოხაზულობის იყო და თანდათან რთულდებოდა, სულ უფრო მეტად ემსგავსებოდა რა უჯრედულ სტრუქტურას. ამჟამად პარკი უფრო რეგულარული გახდა ბუნდოვანი ღერძული კომპოზიციით და მასზე ასხმული მრგვალი მოედნებით.



GAP GROUP

დასკვნები

ექსპერტებთან და ადგილობრივ მცხოვრებლებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა პარკის ტერიტორიის ძირითადი პრობლემები, თავისებურებები და სურვილები. პრობლემებს შორის გამოირჩევა სკამების, საჩრდილობლებისა და წყლის ობიექტების, სხვადასხვა ასაკისთვის საინტერესო ზონების საკმარისი რაოდენობის არარსებობა, პარკის ინფრასტრუქტურისა და ღონისძიებრივი დატვირთვის საერთო მოძველება.

განმეორებადი თემებია ისტორიული მნიშვნელობა, ეკოლოგიური დღის წესრიგი, შემოქმედება, სპორტი და მომავლისკენ სწრაფვა. თავისებურებებს წარმოადგენს ძლიერი ქარები, წყლის სარკე, რუსთავის ციხე, ტერიტორიაზე არსებული შემოქმედებითი და სპორტული საზოგადოება. მნიშვნელოვან ღონისძიებრივ ობიექტებს წარმოადგენს ინოვაციების ინსტიტუტი და ნიჩბოსნობის სკოლა, სკეიტპარკი, ამფითეატრი, ტბორი და შემოქმედების ზონა.

არსენა დემეტრაშვილი , ისტორიის მასწავლებელი , ადგილობრივი მცხოვრები

ქალაქი, სადაც შეიქმნა „ვეფხისტყაოსანი“, ადგილი, სადაც სტეპი ბაღად იქცა, და რუსთავი — მეტალურგიის აღორძინების სიმბოლო — ერთიანდება პარკში, როგორც კულტურის, ბუნებისა და შრომის ცოცხალი სივრცე.

დიმიტრი მახარიაშვილი , არქიტექტორი

რუსთავის პარკის განახლება ქალაქის ხვალინდელი დღის პროექტია — უფრო მწვანე, უფრო მოწესრიგებული და უფრო მეტად ორიენტირებული თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე.

ნანა ჯგუბურია , პედაგოგი , ადგილობრივი მცხოვრები

ჩემი მთავარი სურვილია, რომ განახლებული პარკი ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის კომფორტულ სივრცედ იქცეს. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ თანამედროვე სათამაშო კომპლექსები პატარებისთვის, მიზიდულობის წერტილები ახალგაზრდებისთვის და მყუდრო, წყნარი დასვენების ზონები უფროსი თაობისთვის. გარდა ამისა, აუცილებელია ისტორიული ციხესიმაგრის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა საექსკურსიო მარშრუტების დახმარებით და პროექტში აუცილებლად უნდა ჩაიდოს ინფრასტრუქტურა რუსთავის, როგორც სტუდენტური ქალაქის, შესაძლო სამომავლო სტატუსის გათვალისწინებით. მინდა, რომ პარკი ნამდვილად ცოცხალი გახდეს, შეინარჩუნოს ესთეტიკური ლოკაციები და იყოს საყვარელი ადგილი როგორც ქალაქის მცხოვრებთათვის, ისე ტურისტებისთვის.

ელენე რუდკევიჩი , ადგილობრივი მცხოვრები

ვისურვებდი, რომ პარკში კომფორტული დასვენებისა და მრავალფეროვანი თავისუფალი დროის გასატარებლად მეტი ადგილი გაჩნდეს. ამჟამად აშკარად იგრძნობა სკამების, ასევე ყვავილნარებით გამწვანების ნაკლებობა. კარგი იქნებოდა ცარიელი ტერიტორიების გაცოცხლება, იქ ყველა ასაკის ადამიანისთვის სხვადასხვა მრავალსეზონური აქტივობის დამატებით. ცალკე ვისურვებდი პარკში შემოქმედების ზონის ხილვას — ადგილის, სადაც შესაძლებელი იქნება ხატვა, მასტერკლასებში მონაწილეობა ან უბრალოდ რაიმე კრეატიულით დაკავება. ცხელ ამინდში განსაკუთრებით აკლია საჩრდილობლები, რათა შესაძლებელი იყოს მზისგან თავის შეფარება და ჩრდილში მშვიდად დასვენება.

გიორგი რეხვიაშვილი , ადგილობრივი მცხოვრები

რუსთავის პარკში, ძველი ზოოპარკის ფართო ტერიტორიაზე, მსურს აშენდეს თანამედროვე კაფე და ჩოგბურთის მოედანი. ეს სივრცე ერთდროულად უზრუნველყოფს როგორც დასვენების, ისე სპორტული აქტივობის შესაძლებლობას.

გიორგი ცერაძე , ადგილობრივი მცხოვრები

მინდა, რომ პარკი უფრო მყუდრო გახდეს: ამისთვის აუცილებელია განათების გაუმჯობესება და მსუბუქი მუსიკალური თანხლების დამატება. ასევე სივრცეს ძალიან სჭირდება საბავშვო ატრაქციონები და თანამედროვე სპორტული მოედნები. ამასთან, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბუნებას ფრთხილად მოვეპყროთ და შევინარჩუნოთ რაც შეიძლება მეტი რელიქტური ხე, რითაც ასე განთქმულია ეს ადგილი. და, რა თქმა უნდა, პარკს აკლია რამდენიმე შადრევანი — ჩვენი ძალიან ცხელი ზაფხულის გათვალისწინებით, ისინი ნამდვილ ხსნად და დამსვენებელთათვის მიზიდულობის შესანიშნავ ცენტრად იქცევიან.

GAP GROUP